

ბორის ჭიჭინაძე

საქველმოქმედო საქმიანობა და მისი დაბეზვრის თავისებურებანი

ფ
ი
ნ
ს
კ
ე
ბ
ი

საქველმოქმედო საქმიანობის რეგულირება ფულად-საკრედიტო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ირიბად იგი სოციალურ სფეროსაც ეხება. ჩვენი ქვეყნის ფისკალური კანონმდებლობა ბევრ ხარვეზს შეიცავს, რომლის მოწესრიგება მნიშვნელოვნად აამაღლებს საქველმოქმედო საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება დახმარების გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას ან ადაპტაციას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე დახმარებას ხელმოკლე ფიზიკური პირებისათვის, მათ შორის: ინვალიდებისათვის, მოხუცებულებისათვის, თბილი ბავშვებისათვის, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, ავადმყოფებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის და მათი წევრებისათვის, ომის, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ან/და ეპიზოტოციების შედეგად დაზარალებულებისათვის, ასევე დახმარება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირებისათვის. თუ საგადასახადო კოდექსში მოცემული ამ ჩამონათვალით ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ მხოლოდ ეს დახმარებები მიიჩნევა საქველმოქმედო საქმიანობად. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ასევე ის, რომ ჩამოთვლილი დახმარებების ბოლოს არ არის გამოყენებული სიტყვები „და ა.შ.“ ან „და სხვა“. ასევე გაურკვეველია საგადასახადო დაბეზვრის მიზნებისათვის ვინ უნდა იქნეს მიჩნეული „ხელმოკლე ფიზიკურ პირებად“, მხოლოდ ის პირები, რომელთა შემოსავალი ნაკლებია საარსებო მინიმუმზე, თუ არსებობს კიდევ სხვა კრიტერიუმები. გამომდინარე აქედან, გაურკვეველია ხელმოკლე ფიზიკურ პირებზე გაწეული დახმარება რა დროს მიიჩნევა საქველმოქმედო საქმიანობად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით ხშირ შემთხვევაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული

საქველმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობა, მაგალითად: საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის „ა. ე.“ ნაწილით განსაზღვრული „განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირების“ შემთხვევაში დახმარება მათი ტალანტის განვითარებისათვის ითვლება საქველმოქმედო საქმიანობად, მაგრამ საგადასახადო კოდექსში ვერსად ნახავთ განმარტებას თუ ვინ ითვლება საგადასახადო მიზნებისათვის: „განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ფიზიკურ პირებად“. საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის „ა. დ.“ პუნქტით საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება ისეთი საქმიანობა, როცა პირი ახორციელებს საპატრიარქოს თხოვნით, ან მასთან შეთანხმებით ეკლესიის მშენებლობას, ხოლო თუ პირი ეკლესიას აშენებს საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე, მაშინ მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს საქველმოქმედო საქმიანობაზე გაწეულ ხარჯებად ვერ მივიჩნევთ, ანუ ასეთი საქმიანობა საგადასახადო კოდექსით დაიბეზვრება, როგორც დღით ასევე სხვა საგადასახადებთანაც.

განსხვავებით უცხოეთის მრავალი ქვეყნის საგადასახადო კოდექსისა, ჩვენთან თუ საწარმოს ხელმძღვანელს უნდა სწავლის გასაგრძელებლად ფულადი დახმარება გაუწიოს საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრის შვილს, ასეთი საქმიანობა საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის მეორე ნაწილის „გ.“ პუნქტის თანახმად საქველმოქმედო საქმიანობად ვერ ჩაითვლება, გამომდინარე აქედან საწარმოს მიერ გადახდილი სწავლის ანაზღაურება ჩაითვლება პირის მიერ მიღებულ შემოსავლად, რომელიც მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად დაიბეზვრება 12%-იანი საშემოსავლო გადასახადით, ხოლო საწარმოს წარმოქმნილი 20%-იანი სოციალური გადასახადის გადახდის ვალდებულება, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში საწარმოს მიმართ გავრცელდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები და საურავები. სა-

ქართველოს საგადასახადო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად ერთობლივი საქმიანობიდან გამოიქვეთება საწარმოს მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაწეული შემოწირულობის თანხა, მაგრამ არაუმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვეითების (ამ მუხლით გათვალისწინებული გამოქვეითების გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 8%-ისა. გამომდინარე აქედან, თუ ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში საწარმო დაეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შვილს, როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ პირს, მაშინ ამ დახმარების თანხას საწარმოს ხელმძღვანელობა ვერ გამოქვეითავს ერთობლივი შემოსავლიდან; ასევე

ვერ გამოქვეითავს საწარმო ერთობლივი შემოსავლიდან იმ თანხას, რომელიც მან გადაუხადა ამ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრის ნათესავს შეიარაღებულ კონფლიქტის, ავარიის ან სტიქიური უბედურებების დროს.

ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყნისათვის, საჭიროა საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია იქნებოდა საქველმოქმედო საქმიანობაზე გაწეული ხარჯების დაბეგვრის დროს, ასევე კარგი იქნებოდა, თუ საგადასახადო კოდექსში „საქველმოქმედო სამიანობა“ და მასთან დაკავშირებული საკითხები უფრო თვალნათლივ, ცალსახად და გასაგებად იქნებოდა წარმოდგენილი.

ლიტერატურა და წყაროები:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
2. ჩიხლაძე ნ., საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. ქუთაისი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2004.